ბრძანება N 18132

27/03/2014

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მცირე ფასიანი მატერიალური საშუალებები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე გადაცემის შესახებ

,,სახელმწიფო ქონების შესახებ'' საქართველოს კანონის 35 - ე მუხლის და "სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვბრძანებ:

1. გადაეცეს საქართველოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ, უვადოდ ბალანსიდან ბალანსზე სსიპ შემოსავლების სამსახურის ბალანსზე არსებული მცირე ფასიანი მატერიალური საშუალებები დანართი №1-ის შესაბამისად, ღირებულებით 1450 (ათას ოთხასორმოცდაათი) ლარი 00 თეთრი.
2. სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველომ უზრუნველყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოზე ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ ქონების გადაცემა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
3. მიღება- ჩაბარების აქტის ხელის მოწერაზე უფლებამოსილ პირად განისაზღვროს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის სამეურნეო სამმართველოს სპეციალისტი როსტომ იობიშვილი.
4. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სსიპ შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საფუძველი: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2014 წლის 20 მარტის №30041-02 წერილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 06 მარტის №149/07-03 წერილი.

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

შემოსავლების სამსახური